<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

სურსათის დანაკარგებისა და სურსათის ნარჩენების შემცირების და სურსათის შეწირულობის შესახებ

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

1. ეს კანონი არეგულირებს სურსათის დანაკარგებისა და სურსათის ნარჩენების წარმოშობის პრევენციასთან, შემცირებასთან, მათი დაგროვების მართვასთან, სურსათის შეწირულობასთან და გადანაწილებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

2. ამ კანონის მიზნებისათვის:

ა) სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით განსაზღვრული მოთხოვნებით;

ბ) სურსათის ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება ამ კანონითა და ნარჩენების მართვის კოდექსით დადგენილი წესების შესაბამისად.

3. კანონმდებლობა სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების პრევენციის, შემცირებისა და მართვის, სურსათის შეწირულობისა და გადანაწილების შესახებ შედგება ამ კანონის, ნარჩენების მართვის კოდექსის, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებისაგან.

მუხლი 2. კანონის მიზანი და ამოცანები

1. ამ კანონის მიზანია სურსათის მიწოდების ჯაჭვის ყოველ საფეხურზე, სურსათის დანაკარგებისა და სურსათის ნარჩენების წარმოშობის პრევენცია, მათი შემცირება და სურსათის შეწირულობის, აღდგენისა და გადანაწილების წახალისება.

2. კანონი უზრუნველყოფს სურსათის ნარჩენების შემცირებისა და სურსათის გადანაწილების ხელშემწყობი გენდერულად პასუხისმგებლიანი პოლიტიკისა და ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას.

3. ამ კანონის ამოცანებია:

ა) ქვეყანაში სასურსათო უსაფრთხოების გაუმჯობესება;

ბ) ჭარბი სურსათის ბენეფიციარებისთვის მიწოდების წახალისება და უვნებელ სურსათზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

გ) ჭარბი სურსათის შეწირულობის, გადანაწილებისა და გამოყენების ხელშეწყობა;

დ) სურსათის ნარჩენებით გამოწვეული გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება და შეზღუდვა;

ე) სურსათის დანაკარგებისა და სურსათის ნარჩენების შემცირებისათვის გენდერულად პასუხისმგებლიანი პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;

ვ) უპირატესად, ღარიბი, სასურსათო დაუცველობისა და არასრულფასოვანი კვებისადმი მოწყვლადი ჯგუფების საკმარისი და სრულფასოვანი სურსათით უზრუნველყოფის ხელშეწყობა;

ზ) სურსათის მიწოდების ჯაჭვის მონაწილეებისათვის ცნობიერების ამაღლების გენდერულად მგრძნობიარე ღონისძიებების, ხელშეწყობის ზომებისა და პროგრამების განხორციელება.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

1. ამ კანონის მიზნებისთვის ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სურსათი - სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით განსაზღვრული სურსათი;

ბ) სურსათის ნარჩენები/დარჩენილი სურსათი - სურსათის მიწოდების ჯაჭვის მონაწილეების ქმედებების შედეგად, სურსათის მიწოდების ჯაჭვის გარკვეულ საფეხურზე დარჩენილი სურსათი;

გ) სურსათის დანაკარგები - სურსათის რაოდენობის ან ხარისხის შემცირება, რომელიც გამოწვეულია სურსათის მიწოდების ჯაჭვში მიმწოდებლების გადაწყვეტილებებისა და ქმედებების შედეგად, გარდა საცალო ვაჭრობის, კვების სერვისების მიმწოდებლების და მომხმარებლებისა გადაწყვეტილებებისა და ქმედებებისა;

დ) ჭარბი სურსათი - ჯერ კიდევ უვნებელი, ადამიანის მიერ მოხმარებისათვის განკუთვნილი სურსათის დანაკარგები და სურსათის ნარჩენები;

ე) სურსათის მიწოდების ჯაჭვი - სურსათის მიწოდების სრული ციკლი, რომელიც მოიცავს სურსათის მიწოდების ყველა საფეხურს, მისი წარმოებიდან საბოლოო მომხმარებლამდე;

ვ) სურსათის მიწოდების ჯაჭვის მონაწილე - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც მონაწილეობს სურსათის მიწოდების ჯაჭვში;

ზ) სურსათის შეწირულობა - სურსათის მიწოდების ჯაჭვის მონაწილის მიერ სურსათის უსასყიდლოდ გადაცემა სურსათის საქველმოქმედო ორგანიზაციაზე/სურსათის ბანკზე ან უშუალოდ ბენეფიციარზე;

თ) სურსათის გადანაწილება - სურსათზე შეუფერხებელი წვდომის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული პროცესი, რომელიც მოიცავს სურსათის მიწოდების ჯაჭვის მონაწილის მიერ შეწირულობის სახით გაცემული ჭარბი სურსათის შეგროვებას, შენახვას, აღდგენასა და მის შემდგომ განაწილებას;

ი) სურსათის აღდგენა - პროცესი, რომელიც შეიძლება მოიცავდეს ჭარბი სურსათის ფიზიკურ დათვალიერებას, ორგანოლეპტიკურ შეფასებას, დახარისხებას, შეფუთვას, გადაფუთვას და ნებისმიერ სხვა პროცედურას, რომლის შემდგომაც სურსათი შესაძლებელია განაწილდეს და გამოყენებულ იქნეს დანიშნულებისამებრ;

კ) სურსათის საქველმოქმედო საქმიანობა - ავტორიზებული საქმიანობა, რაც გულისხმობს სურსათის მიწოდების ჯაჭვის მონაწილის მიერ სურსათის შეწირულობასა და სურსათის გადანაწილებას;

ლ) სურსათის საქველმოქმედო ორგანიზაცია/სურსათის ბანკი - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს სურსათის საქველმოქმედო საქმიანობას;

მ) ბიზნესოპერატორი - სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის თანახმად განსაზღვრული პირი;

ნ) ბენეფიციარი - საბოლოო მომხმარებელი, პირი, რომელიც იღებს შეწირულობით გადაცემულ სურსათს;

ო) სასურსათო უსაფრთხოება - უვნებელი და ყუათიანი სურსათის საკმარისი რაოდენობა და მასზე საიმედო ხელმისაწვდომობის არსებობა;

პ) სურსათის რეციკლირება - სურსათის ხელახალი გადამუშავება მისი გამოყენების მიზნით;

ჟ) სამინისტრო - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

თავი II. სურსათის ნარჩენებისა და სურსათის დანაკარგების მართვის ღონისძიებები

მუხლი 4. სურსათის ნარჩენების მართვის იერარქია

1. სურსათის დანაკარგებისა და სურსათის ნარჩენების მართვა ხორციელდება ნარჩენების მართვის კოდექსის მე-4 მუხლით განსაზღვრული ნარჩენების მართვის იერარქიის ზოგადი პრინციპების შესაბამისად, ამ კანონით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.

2. სურსათის ნარჩენების მართვის იერარქიის პრინციპებით გათვალისწინებული ღონისძიებების გამოყენება ხორციელდება სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით დადგენილი წესების შესაბამისად.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნები სრულდება შემდეგ ღონისძიებათა განხორციელების გზით:

ა) სურსათის მიწოდების ჯაჭვის თითოეულ საფეხურზე სურსათის დანაკარგებისა და სურსათის ნარჩენების წარმოქმნის პრევენცია;

ბ) ჭარბი სურსათის შეწირულობა, აღდგენა და გადანაწილება, სურსათის უვნებლობის მოთხოვნების შესაბამისად;

გ) ჭარბი სურსათის ცხოველის საკვებად გამოყენება ან სხვა, სასურსათო ან არასასურსათო პროდუქტად გადამუშავება;

დ) ჭარბი სურსათის რეციკლირება;

ე) ჭარბი სურსათის გამოყენება ენერგიის გამომუშავების მიზნით;

ვ) სურსათის ნარჩენების განთავსება, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

თავი III. სურსათის დანაკარგებისა და სურსათის ნარჩენების შემცირების, სურსათის შეწირულობისა და გადანაწილების პოლიტიკა და სახელმწიფო ორგანოების პასუხისმგებლობა

მუხლი 5. სურსათის დანაკარგებისა და სურსათის ნარჩენების შემცირების, სურსათის შეწირულობისა და გადანაწილების პოლიტიკა

1. სურსათის დანაკარგებისა და სურსათის ნარჩენების შემცირების პოლიტიკა მოიცავს სურსათის დანაკარგებისა და სურსათის ნარჩენების წარმოქმნის პრევენციას, შემცირებას, მართვას, სურსათის შეწირულობასა და შემდგომ გადანაწილებას.

2. სურსათის დანაკარგებისა და სურსათის ნარჩენების შემცირების პოლიტიკას ახორციელებენ საქართველოს მთავრობა და სამინისტრო, შესაბამისი კომპეტენციების ფარგლებში.

3. სურსათის დანაკარგებისა და სურსათის ნარჩენების შემცირების, ჭარბი სურსათის შეწირულობისა და შემდგომი გამოყენების ხელშესაწყობად, სახელმწიფო უზრუნველყოფს შესაბამისი მარეგულირებელი ნორმებისა და საგადასახადო გარემოს ჩამოყალიბებას, შეწირულობის შესახებ ცნობიერების ზრდასა და წამახალისებელი ზომებისა და

პროგრამების დანერგვას, ჭარბი სურსათის გამოყენების, მართვისა და განაწილების წინადადებების შემუშავებას.

მუხლი 6. სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებები

1. სურსათის დანაკარგებისა და სურსათის ნარჩენების შემცირების პოლიტიკის განხორციელებაზე, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, პასუხისმგებელნი არიან: სამინისტრო, სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სურსათის ეროვნული სააგენტო, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს შემოსავლების სამსახური, მუნიციპალიტეტები.

2. **სურსათის დანაკარგებისა და სურსათის ნარჩენების მართვის სფეროში სამინისტროს უფლებამოსილებები და ვალდებულებებია:**

ა) სურსათის დანაკარგებისა და სურსათის ნარჩენების მართვის გენდერულად პასუხისმგებლიანი პოლიტიკის განსაზღვრა და განხორციელება;

ბ) სურსათის მიწოდების ჯაჭვში საჯარო და კერძო პარტნიორობის დანერგვის ხელშეწყობა; გ) ჭარბი სურსათის შეწირულობასთან, გადამუშავებასთან, შენახვასა და გადანაწილებასთან დაკავშირებული ინკლუზიური და გენდერულად პასუხისმგებლიანი სამართლებრივი აქტების შემუშავება ან/და მათ შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;

დ) სურსათის საქველმოქმედო საქმიანობის ავტორიზაციის წესის შემუშავება და დამტკიცება;

ე) სურსათის საქველმოქმედო საქმიანობის განმახორციელებელი ავტორიზებული პირების მონაცემთა ბაზის შექმნის უზრუნველყოფა;

ვ) სურსათის ნარჩენების მართვის იერარქიის პრინციპებისა და სურსათის დანაკარგის შესამცირებლად სახელმწიფო წამახალისებელი პროგრამების შემუშავება და განხორციელება;

ზ) სურსათის შეწირულობის მართვის უზრუნველყოფისათვის სახელმძღვანელო პრინციპების, ან მეთოდური მითითებების, ან რეკომენდაციების ან სხვა სახელმძღვანელო დოკუმენტების შემუშავება;

თ) სურსათის დანაკარგებისა და სურსათის ნარჩენების შემცირებასა და სურსათის შეწირულობასთან დაკავშირებით ინოვაციური პროექტებისა და წინადადებების მომზადება;

ი) სამეცნიერო კვლევების, უახლესი ტექნოლოგიების და ინოვაციების მხარდაჭერა სურსათის დანაკარგებისა და სურსათის ნარჩენების შესამცირებლად, განსაკუთრებით სურსათის ვარგისიანობის ვადებთან დაკავშირებით;

კ) ცნობიერების ამაღლების გენდერულად მგრძნობიარე ღონისძიებების, ხელშეწყობის ზომებისა და პროგრამების განხორციელება.

3. **სურსათის დანაკარგებისა და სურსათის ნარჩენების მართვის სფეროში სურსათის ეროვნული სააგენტო ვალდებულია:**

ა) მოახდინოს სურსათის საქველმოქმედო საქმიანობის ავტორიზაცია და სურსათის საქველმოქმედო საქმიანობის განმახორციელებელი ავტორიზებული პირების რეგისტრაცია;

ბ) განახორციელოს სახელმწიფო კონტროლი სურსათის საქველმოქმედო საქმიანობის განმახორციელებელ ავტორიზებულ პირთა საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

4. მუნიციპალიტეტები ვალდებულნი არიან მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმაში ასახონ ამ კანონით გათვალისწინებული სურსათის ნარჩენების მართვის იერარქიის პრინციპები.

5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური პასუხისმგებელია სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების შესახებ გენდერულად სეგრეგირებულ სტატისტიკურ კვლევაზე, რისთვისაც, კარგი პრაქტიკისა და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, სამსახური შეიმუშავებს წლიური შეფასების სისტემასა და მეთოდოლოგიას.

თავი IV. სურსათის შეწირულობა და გადანაწილება

მუხლი 7. სურსათის შეწირულობისა და გადანაწილების პროცედურები

1. ჭარბი სურსათის შეწირულობისა და გადანაწილების პროცესი ხორციელდება ამ კანონისა და სურსათის შეწირულობის, აღდგენისა და გადანაწილების პროცედურების შესაბამისად, სასურსათო დაუცველობისა და არასრულფასოვანი კვების გენდერული და სოციალური განზომილებების გათვალისწინებით.

2. სურსათის მიწოდების ჯაჭვის მონაწილეს შეუძლია სურსათის საქველმოქმედო ორგანიზაციას/სურსათის ბანკს ან უშუალოდ ბენეფიციარს გადასცეს ჭარბი სურსათი შეწირულობის სახით იმ პირობით, რომ სურსათი ვარგისია ადამიანის მიერ

მოხმარებისათვის და აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს.

3. სურსათის საქველმოქმედო ორგანიზაციას/სურსათის ბანკს შეუძლია შეწირულობის სახით მიიღოს ჭარბი სურსათი, აღადგინოს და გადაანაწილოს ის სურსათის სხვა ბანკებში/სურსათის სხვა საქველმოქმედო ორგანიზაციებში ან მიაწოდოს უშუალოდ ბენეფიციარებს, იმ პირობით, რომ სურსათი ვარგისია ადამიანის მიერ მოხმარებისათვის და აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს.

4. სურსათის შეწირულობა დაშვებულია სურსათის ვარგისიანობის მინიმალური ვადის - „უმჯობესია გამოყენებული იქნეს“ გასვლის შემდეგ იმ პირობით, თუ ის აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უვნებლობის მოთხოვნებს.

5. სურსათის შეწირულობისა და გადანაწილების სფეროში მოქმედებს შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმი.

მუხლი 8. სურსათის შეწირულობისა და გადანაწილების წესი

1. სურსათის შეწირულობისა და გადანაწილების წესი არის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომელიც სურსათის/ცხოველის საკვების, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსისა და ამ კანონის შესაბამისად არეგულირებს სურსათის შეწირულობასთან, აღდგენასთან და გადანაწილებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

2. წესი ადგენს:

ა) სურსათის უვნებლობის სპეციფიკურ მოთხოვნებს სურსათის გადანაწილებისთვის, რაც მოიცავს სურსათის შეწირულობას, აღდგენას, შენახვასა და განაწილებას;

ბ) სურსათის მიწოდების ჯაჭვის მონაწილეებს შორის ჭარბი სურსათის გადაცემის წესებსა და პროცედურებს (აღრიცხვა, სავალდებულო ინფორმაციის სია, უვნებლობა და ხარისხის და ა.შ.);

გ) კონტროლის პროცედურებს იმ სურსათთან მიმართებაში, რომელზეც გასულია „უმჯობესია გამოყენებულ იქნეს - მდე“ თარიღი;

დ) ჩამონათვალს იმ სურსათისა, რომლის გამოყენება და გადანაწილება დასაშვებია;

ე) კარგი ჰიგიენური პრაქტიკის წესებს;

ვ) სხვა მოთხოვნებს, რომლებიც შესაძლოა გამომდინარეობდეს სურსათის უვნებლობის მარეგულირებელი კანონმდებლობიდან.

მუხლი 9. სურსათის მიწოდების ჯაჭვის მონაწილეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა

1. სურსათის მიწოდების ჯაჭვის მონაწილეები ვალდებულნი არიან გააუმჯობესონ სურსათის წარმოებასა და რეალიზაციასთან დაკავშირებული პრაქტიკა, რათა თავიდან აიცილონ დანაკარგები, ასევე შეამცირონ და აღმოფხვრან სურსათის რეალიზაციის შემდგომი წარმოების, დისტრიბუციის, მოხმარების, დასაწყობების და მარკეტინგის პროცესში სურსათის ნარჩენების წარმოქმნა.

2. სურსათის მიწოდების ჯაჭვის მონაწილეებმა უნდა დაიცვან სურსათის ნარჩენების მართვის იერარქიის ამ კანონით განსაზღვრული პრინციპები.

3. დაუშვებელია ისეთი სურსათის შეწირულობა და გადანაწილება, რომელიც არ აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს და რისკს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობას სურსათის/ცხოველის საკვების, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად.

თავი V. სურსათის საქველმოქმედო საქმიანობა

მუხლი 10. სურსათის საქველმოქმედო საქმიანობის ავტორიზაცია

1. სურსათის საქველმოქმედო საქმიანობა - შეწირულების გაცემა და მისი შემდგომი გადანაწილება საბოლოო ბენეფიციარზე შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ დადგენილი წესით ავტორიზაციის შემდგომ.

2. სურსათის საქველმოქმედო საქმიანობის ავტორიზაციას ექვემდებარება:

ა) სურსათის შეწირულების გამცემი პირი;

ბ) შეწირული სურსათის მიმღები არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - სურსათის საქველმოქმედო ორგანიზაცია/სურსათის ბანკი. მხოლოდ ამ კანონით დადგენილი წესით ავტორიზებული სურსათის საქველმოქმედო საქმიანობის განმხორციელებელი პირია უფლებამოსილი განახორციელოს სურსათის შეწირულობასა ან/და გადანაწილებასთან დაკავშირებული საქმიანობა.

3. სურსათის საქველმოქმედო საქმიანობის ავტორიზაციას ახორციელებს და სურსათის საქველმოქმედო საქმიანობის განმახორციელებელი ავტორიზებული პირების მონაცემთა ბაზას აწარმოებს სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო.

4. სურსათის საქველმოქმედო საქმიანობის ავტორიზაციის წესი დგინდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

მუხლი 11. სურსათის საქველმოქმედო ორგანიზაცია/სურსათის ბანკი

1. სურსათის საქველმოქმედო ორგანიზაცია/სურსათის ბანკი არის ბიზნესოპერატორი, რომელიც ახორციელებს სურსათის შეწირულობის და შემდგომი გადანაწილების პროცესთან დაკავშირებულ ყველა საქმიანობას.

2. სურსათის საქველმოქმედო ორგანიზაცია/სურსათის ბანკი პასუხისმგებელია ჭარბი სურსათის მიწოდებაზე და მისი ძირითადი ფუნქციაა შეწირული ჭარბი სურსათის გადანაწილება სხვა სურსათის ბანკებზე/სასურსათო საქველმოქმედო ორგანიზაციებზე ან/და უშუალოდ საბოლოო ბენეფიციარზე.

3. სურსათის საქველმოქმედო ორგანიზაცია/სურსათის ბანკი ვალდებულია:

ა) იმოქმედოს კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოს ჭარბი სურსათის გადანაწილება კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, უპირატესად, ღარიბი და სასურსათო დაუცველობისა და არასრულფასოვანი კვებისადმი მოწყვლადი ჯგუფებისათვის;

გ) დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი სურსათის უვნებლობის მოთხოვნები და იხელმძღვანელოს საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP – Hazzard Analysis and Critical Control Points) სისტემასთან გათანაბრებული სტანდარტებით;

დ) შეიმუშაოს და დაამტკიცოს ყოველწლიური სამოქმედო გეგმა;

ე) შეიმუშაოს და სსიპ - შემოსავლების სამსახურს წარუდგინოს წლიური ფინანსური ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ.

მუხლი 12. პასუხისმგებლობის შეზღუდვა შეწირულობის სახით გადაცემულ სურსათზე

სურსათის მიწოდების ჯაჭვის მონაწილეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა, თუ მის მიერ, სურსათის საქველმოქმედო ორგანიზაციისთვის/სურსათის ბანკისთვის, საბოლოო ბენეფიციარისთვის მისაწოდებლად გადაცემული ჭარბი სურსათი აკმაყოფილებს ამ კანონის და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უვნებლობის მოთხოვნებს.

თავი VI. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 13. კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით მისაღები ნორმატიული აქტები

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ:

ა) ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში:

ა.ა) უზრუნველყოს შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების შესაბამისობა ამ კანონის მოთხოვნებთან;

ა.ბ) შეიმუშაოს და საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგინოს „სურსათის შეწირულობისა და გადანაწილების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი;

ა.გ) შეიმუშაოს და საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგინოს „სურსათის საქველმოქმედო საქმიანობის ავტორიზაციის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი.

ბ) არაუგვიანეს 2025 წლის 1 იანვრისა შეიმუშაოს და საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგინოს სურსათის ნარჩენების მართვის სტრატეგია.

მუხლი 14. კანონის ამოქმედება

1. ეს კანონი, გარდა მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მე-4 და მე-5 ქვეპუნქტებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მე-4 და მე-5 ქვეპუნქტები ამოქმედდეს 2025 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**